№3 (9910) ◆ მაისი, 2024 წელი ◆ ფასი 50 თეთრი ◆ *გაზეთი გამოდის 1933 წლის 3 მაისიდან*

რაც გვეამაყება და გვაერთიანებს

ვარდობის თვის დდიურიდან

მაისი – გაზაფხულის გამორჩეული პერიოდი, ვარდობის თვესაც რომ ვუწოდებთ, წელს ღირსშესანიშნავი თარიღებითა და მნიშვნელოვანი ღონისძიებებით განსაკუთრებულად დატვირთული აღმოჩნდა. სრულიად საქართველოსთან ერთად რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების მოსახლეობამ 5 მაისს საზეიმო ვითარებაში აღნიშნა **აღდგომის** ბრწყინვალე დღესასწაული.

მოსახლეობას დღესასწაული მიულოცეს სამხარეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელმა პირებმა. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა სხვადასხვა სოციალური კატეგორიის 74 ოჯახს მილოცვასთან ერთად სააღდგომო ნობათებიც გადასცეს.

6 მაისს **გიორგობის** ბრწყინვალე დღესასწაული ვიზეიმეთ, მოსახლეობამ, მრევლმა მოლოცვისას დიდმოწამე გიორგის მშვიდობა და სრულიად საქართველოს გაძლიერება შესთხოვა.

9 მაისს ფაშიზმზე **გამარჯვების** 79 წლის იუბილე აღინიშნა. სამწუხაროდ მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანები მუნიციპალიტეტს აღარ ჰყავს, მაგრამ დაგვრჩა მათი შთამომავლობა და დაღუპულთა ხსოვნის საპატივცემლოდ არსებული შინმოუსვლელთა ობელისკები. მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა პაპუნა მარგველიძემ და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერმა ზვიად მხეიძემ ხიმშში ყვავილებით შეამკეს მემორიალი და ამით პატივი მიაგეს ომში დაღუპულთა ხსოვნას.

12 მაისს **ანდრია პირველწოდებულის** მოხსენიების დღე აღინიშნა.

14 მაისს საქართველოში ავტოკეფალიის აღდგენიდან ე.ი. 1917 წლიდან ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული **მეფე თამარის** ხსენების დღე აღინიშნება და ამჟამადაც მრევლმა უფალს მისი ლოცვითა და მეოხებით სრულიად საქართველოს გაძლიერება და გამთლიანება შესთხოვა.

15 მაისს გაეროს გადაწყვეტილებით აღინიშნება ოჯახის საერთაშორისო დღე. ეტყობა გენერალურ ანსამბლეას მსოფლიოში შექმნილმა ვითარებამ მიაქცევინა ოჯახურ ფასეულობების განმტკიცებაზე ყურადღება. არადა საქართველოში, სადაც ოდითგანვე ტრადიციები და ადათწესები ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილადაა მიჩნეული, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით 2014 წლიდან დაწესებულია **ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღე – 17 მაისი**.

წლევანდელი ნამდვილად გრანდიოზული აღმოჩნდა და მოიცვა სრულიად საქართველო. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში შემავალ მუნიციპალიტეტების ტაძრებში აღვლენილი პარაკლისების შემდგომ სასულიერო პირებთან ერთად გაიმართა მრავალრიცხოვანი მოქალაქეების მსვლელობები მუნიციპალიტეტების ცენტრების ქუჩებსა და ტაძრებში.

ლენტეხში პარაკლისი აღევლინა წმინდა გიორგის ტაძარში (რეზიდენცია) და მსვლელობა დასრულდა მერიის შენობასთან.

ცაგერში საკათედრო ტაძარში აღვლენილი პარაკლისის შემდგომ მსვლელობა დასრულდა მაქსიმე აღმსარებლის მონასტერში.

ონში პარაკლისი აღევლინა გაბრიელ მთავარანგელოზის ტაძარში. მოქალაქეთა მსვლელობა გაიმართა ცენტრალურ ქუჩებში და დასრულდა დ. აღმაშენებლის მოედაზე საჯანის კარის ტაძართან.

ამბროლაურში ამ დღეს უჩვეულოდ ხალხმრავლობა იყო. ივერიის ღვთისმშობლის ტაძარში აღვლენილი პარაკლისის მსმენელთა შორის ოჯახის წევრებთან ერთად იყვნენ სამხ-

გაგრძელება მე-2 გვ.

ინფორმაცია

გაიმართა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს სამოცდამეშვიდე (მორიგი) სხდომა, რომელმაც მოისმინა და შეაფასა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურების ხელმძღვანელების ანგარიშები 2024 წლის 01 იანვრიდან 01 მაისამდე გაწეული საქმიანობის შესახებ.

სხდომამ ცვლილებები შეიტანა საკრებულოს 2024 წლის №16, №17 და №33 განკარგულებებში და თანხმობა მისცა მუნიციპალიტეტის მერს „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შხივანის სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის შესახებ“ ხელშეკრულების დადებაზე.

საინფორმაციო შეხვედრა

გარემოს ეროვნულ სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის წარმომადგენლები მსოფლიო ბანკის ექსპერტთან გეოლოგიის მიმართულებით ჯერალდ ვალენტინთან ერთად რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში იმყოფებოდნენ, მათ საინფორმაციო შეხვედრა გამართეს სახელმწიფო რწმუნებულთან – პაპუნა მარგველიძესთან და განიხილეს. რეგიონში გეოლოგიური საფრთხეების კუთხით არსებული გამოწვევები და მათი პრევენციისათვის საჭირო ქმედებები

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკის მისია საქართველოში აფასებს გეოლოგიის დეპარტამენტის საქმიანობას, არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ და საკადრო რესურსებს, რის საფუძველზეც მისიის მიერ მომზადდება შესაბამისი რეკომენდაციები.

* * *

ღვიარა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის იმ სოფლების რიცხვს შეემატება, რომლებსაც გეოგრაფიული მდებარეობა ხელს უწყობს ქალაქური ტიპის დასახლებად იქცნენ. აქ, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით, სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სასოფლო გზების რეაბილიტაციის პირველი რიგის სამუშაოები. პროექტის სრული ღირებულება 744 744 ლარს შეადგენს და მიმდინარე წელს განსაზღვრულია 330 000 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულება, ასფალტის საფარის დაგების სამუშაოები გაგრძელდება 2025 წელს.

რაც გვეამაყება და გვაერთიანებს

დასასრული

არეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები, სტუმრები. რაც ყველაზე სასიამოვნოა და აღსანიშნავი, სჭარბობდა ახალგაზრდობა, სწორედ ისინი, რომლებმაც უფროსი თაობისაგან უნდა გადაიბარონ ქვეყნის მომავალზე ზრუნვის და ეროვნული თვითმყოფადობის ტრადიციების დაცვის ესტაფეტა. შემდგომ სასულიერო პირებთან ერთად მოქალაქეთა მსვლელობა გაგრძელდა ქალაქის ქუჩებში.

მსვლელობამ, მოქალაქეებთან გასაუბრებამ ერთხელ კიდევ ნათლად გვაჩვენა, რომ ქვეყანაში ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილად რჩება ტრადიციები და ადათ-წესები.

მაისმა რაჭაში სლოგანით **„ვიცავ ჩემი ქვეყნის ბუნებას“** პარკების კვირეულსაც უმასპინძლა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ დასასვენებელი სივრცეები მოგვიმრავლდა.

ვარდობის თვემ **ევროპის დღეებთან** ერთად სხვა ბევრი სასიამოვნო სიახლეებიც შემოგვთავაზა ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის, განათლების, ჯანმრთელობის, კულტურის, სპორტისა თუ სხვა სფეროების განვითარების კუთხითაც, მაგრამ მოსახლეობის განწყობის ამაღლების მუხტს მაინც წარმოადგენდა **26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი** მიძღვნილი ღონისძიებები, რომლებითაც დატვირთული იყო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მქონე ქვეყნის დედაქალაქთან სინქრონში რეგიონის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულები. ცხადია, მათ შორის გამორჩეულად ჩვენი მუნიციპალიტეტი, რადგან ამბროლაური იყო ქვეყნის იმ 18 ქალაქს შორის, სადაც თბილისში მიმდინარე საყოველთაო, სახალხო ზეიმის პარალელურად გაიმართა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი მასშტაბური ღონისძიებები სლოგანით **„რაც გვეამაყება და გვაერთიანებს“**.

ესაა სამი ღვთაებრივი საუნჯე – **მამული, ენა, სარწმუნეობა**. სახელმწიფოებრიობის ფორმულა და უდიდესი უმრავლესობის, თავისუფლებისმოყვარე ხალხის მიერ არჩეული გზა, რომელსაც უნდა მივყვეთ და დავიცვათ. ნებისმიერი გემოვნებისა და ასაკის ადამიანებს, ტურისტებს შესაძლებლობა ჰქონდათ კულტურის სახლის მიმდებარე პარკში გაცნობოდნენ ადგილობრივ მეწარმეთა თუ ფერმერთა პროდუქციის ფართო სპექტრს, მოესმინათ ფოლკლორული ანსამბლებისა და მხატვრული კოლექტივებისათვის, გაცნობოდნენ კულინარიულ მასტერკლასებს, დაეგემოვნებინათ ტრადიციული კერძები... ბავშვების სამსახურში იყო სხდასხვა სახის აქტივობები, გასართობი სივრცეები, მაგრამ მათი ინტერესის სფეროს გამორჩეულად მაინც სამხედრო აღჭურვილობა და ტექნიკა წარმოადგენდა.

სახელმწიფო ჰიმნის მოსმენის შემდგომ გაგრძელდა ღამის შოუს ბენდის კონცერტი.

ქვეყნის მთავრობის ადმინისტრაციის, ტურიზმის ეროვნული სააგენტოს და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით გამართული ზეიმი გვიანობამდე გაგრძელდა. დღე, რომელიც გვაერთიანებს და გვეკუთვნის ჩვენ!

ვითვალისწინებთ რა ჩვენი მკითხველის იმ ნაწილის სურვილს, რომლებმაც სხვადასხვა ობიექტური მიზეზით ვერ შეძლეს ადგილზე ყოფილიყვნენ დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებებისა თუ სივრცეების უშუალო მხილვენი, მათ გაზეთის მაისის თვის ნომრის პირველი და მეორე გვერდებით ვთავაზობთ ამონაკრებს ფოტოებთან ერთად, რაც ვიმედოვნებთ შეუქმნით სწორ წარმოდგენას იმ საზეიმო სიტუაციაზე რაც ამ დღეებში სუფევდა სრულიად საქართველოსთან ერთად რეგიონში და ჩვენს მუნიციპალიტეტში.

ძვირფასო მკითხველო, გილოცავთ ყველა მნიშვნელოვან თარიღს. მშვიდობა სამშობლოსა და ოჯახებში.

ჩვენთან არს ღმერთი!

ბოლო ზარი

20 მაისს, საჯარო სკოლებში მეთორმეტე კლასელებისთვის „ბოლო ზარი“ დაირეკა.

რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული – **პაპუნა მარგველიძე** ქალაქ ამბროლაურის მეორე საჯარო სკოლის საზეიმო ღონისძიებას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

ონის მუნიციპალიტეტში გამართულ საზეიმო ღონისძიებას სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე – **ქრისტინა კობახიძე**, რწმუნებულის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან – **მარიკა დვალთან** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგნლებთან ერთად სიმონ სხირტლაძის სახელობის სკოლაში დაესწრო.

ქალაქ ცაგერის და ქვედა ცაგერის საჯარო სკოლებში გამართულ „ბოლო ზარის“ ღონისძიებებს კი სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე – **ალუდა თუთისანი** ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

სამხარეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მე-12 კლასელებს სკოლის დამთავრება მიულოცეს და ცხოვრების ახალ, საინტერესო ეტაპზე წარმატებები უსურვეს, ასევე, განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს პედაგოგებს, იმ ამაგისა და დაუღალავი შრომისთვის, რომელსაც თითოეული ახალგაზრდის მიმართ იჩენენ.

* * *

გრძელდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს წითელი ჯვრის ორგანიზაციის ერთობლივი თანამშრომლობა, რომლის ფარგლებში ხვანჭკარის და ჭყვიშის საბავშვო ბაღების აღსაზრდელებს საჩუქრად გადაეცათ სათამაშოები, საკანცელარიო ნივთები და სხვადასხვა სახის აქსესუარები.

საჩუქრები ბავშვებს სახელმწიფო რწმუნებულმა **პაპუნა მარგველიძემ**, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **ასლან საგანელიძემ**, მერმა **ზვიად მხეიძემ** და მერის მოადგილე თ**ამარ ქევანაშვილმა** გადასცეს და ამით ბავშვებს კიდევ ერთი დასამახსოვრებელი დღე აჩუქეს.

რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები აგრეთვე გაეცვნენ ჭრებალოს საბავშვო ბაღის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოების მიმდინარეობის პროცესებს. აღსანიშნავია, რომ საბავშვო ბაღი გათვლილია 60 აღსაზრდელზე, აფინანსებს მუნიციპალური განვითარების ფონდი. პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 2 81 426 ლარს შეადგენს.

* * *

საქართველოს იუსტიციის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების მხარდაჭერით განხორციელდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის საგანმანათლებლო პროექტი **„საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა“**.

პროექტის ფინალურ თამაშში მონაწილეობას იღებდა ქვეყნის 40 საჯარო და კერძო სკოლა. სსიპ ქ. ამბროლაურის მე-2 საჯარო სკოლა მეორე საპრიზო ადგილის მფლობელია.

მოსწავლეებსა და მათ პედაგოგებს ვუულოცავთ მიღწეულ წარმატებას.

...რაღა დარჩა საუკუნემდე

მაისში გაზეთის დაბადების დღეც არის. თავიდან **„ამბროლაურის კომუნარი“** ერქვა და მშრომელ მასებს საკოლმეურნეო საქმიანობასა და ხუთწლიანი გეგმების ვადამდე შესრულების ლოზუნგებით, აგიტაცია-პროპაგანდით მოძღვრავდა. ამართლებდა კიდეც. გამოდიოდა ხან ხელნაწერის, ხანაც ნაბეჭდის სახით სხვადასხვა ფორმატითა და პერიოდულობით, ძირითადად შემოწირულობებით. გადიოდა წლები, ამბროლაურის რაიონის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები უმჯობესდებოდა და სოციალურ შეჯიბრში გამარჯვებულთა ახალ-ახალი სახეების გამოჩენა გაზეთის ფურცლებზე სხვებში ინტერესსა და მიმბაძველობის სურვილს აღძრავდა.

ასე იყო თუ ისე გაზეთი თავის დანიშნულებას ამართლებდა მშრომელთა დარაზმის თვალსაზრისით. გადაწყდა მას მისცემოდა სრულყოფილი სახე და 1933 წლის დასაწყისში დაფუძნდა როგორც ამბროლაურის პარტიის რაიკომის და რაისაბჭოს აღმასკომის ყოველთვიური ორგანო რედკოლეგიით, შესაბამისი შტატებით, დაფინანსებით და რაც მთავარია – სტამბით. ამიტომ აწერია გაზეთს – გამოდის 1933 წლის მაისიდან.

„ამბროლაურის კომუნარით“ დაიწყო, მაგრამ მალე გახდა **„კომუნარი“**, 50-იან წლებში **„კომუნიზმის დროშა“** ეწოდა. გამოდიოდა კვირაში სამჯერ 8 000 ტირაჟით და ვრცელდებოდა არა მარტო ქვეყნის მასშტაბით, არამედ მის ფარგლებს გარეთაც და ქვეყანაში გამომავალ 80-ზე მეტ რაიონულ გაზეთს შორის ითვლებოდა როგორც თემატიკით ისე ჟანრობრივი თვალსაზრისით ლიდერად. ჩვენთან კოლეგებს, ბეჭდვითი გამომცემლობის კომიტეტი, გამოცდილების გასაზიარებლად გვიგზავნიდნენ.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან **„ამბროლაურის მოამბეა“** და მისი ბრძოლაც გადარჩენისათვის აქედან იწყება. რაჭის მიწისძვრამ გაანადგურა სტამბა-რადაქციის

შენობასთან ერთად არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. რაც გადარჩა უსინდისოთა მიერ იქნა დატაცებულ – ჯართად გატანილი... უსტამბოდ, თვეობით უხელფასო თანამშრომელთა ენთუზიაზმით გაზეთს არსებობა მაინც არ შეუწყვეტია, დღესაც ბევრ შემოტევას უძლებს, მაგრამ შემცირებული ტირაჟითა და პერიოდულობით მაინც რჩება მოსახლეობაზე, მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებზე, ინფორმაციის მიწოდების ერთადერთ ბეჭდურ საშუალებად. ამიტომ ამითაც გამორჩეულია ბოლო წლებში მომრავლებული გაზეთებისაგან...

რაც მთავარია, არ უღალატია პრესისა და ჟურნალისტიკის პრინციპებისათვის, ღირსეულად ატარებს ამბროლაურის რაიონისა და რეგიონის (გარკვეული პერიოდი რეგიონული გაზეთის ტიტულის მატარებელიც იყო) ჟამთააღმწერელის, მემატიანის წოდებას და 21-ე საუკუნის ტექნოლოგიური ბუმის დროსაც არის მოთხოვნადი. ე.ი.

მკითხველის ნაკლებობას არ განვიცდით და ჩვენს სტიმულიატორებად რჩებიან.

დიახ, მაისი ჩვენი თვეცაა. მოლოცვებიც მივიღეთ. პირველობის ტრადიცია არც ამჯერად დაურღვევიათ ისრაელში გამომავალი ქართულენოვანი გაზეთებიდან კოლეგებს. დიდი მადლობა და მშვიდობა მათ ოჯახებს.

მადლობა ადგილობრივ თვითმმართველობას იუბილის დღის გალამაზებისათვის. რედაქციას ესტუმრნენ მუნიციპალიტეტის მერის მოდგილე თამარ ქევანაშვილი, მერიის ადმინისტრაციის, სოციალური და ჯანდაცვის სამსახურების ხელმძღვანელები ირმა ფრუიძე, მარიკა დვალი, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელ მირანდა ჯაფარიძესა და ამავე განყოფილების სპეციალისტ ნინო მაისაშვილთან ერთად სიმბოლური საჩუქრით თაიგულითა და ტორტით.

არ ვფიცავთ. ყურადღებამ გაგვახარა და გვესიამოვნა. მადლობა მათ და ყველა იმ ადამიანს, ვინც დღესაც ერთგულად უდგას მხარში გაზეთს და ავანსად მათაც, ვინც შემდგომშიც უზრუნველყოფს მისი სიცოცხლის გახანგრძლივებას.

... რაღა დარჩა საუკუნემდე.

„სოფელო, ჩემო სოფელო“

ასე ერქვა ღონისძიებას, რომელიც 28 მაისს გაიმართა სსიპ ველევის საჯარო სკოლაში. სკოლაში, რომელსაც შესაშური საუკუნოვანი ისტორია აქვს და სამწუხაროდ, უკვე წლებია მცირეკონტიგენტიან სკოლათა კატეგორიათა სიას მიეკუთვნება, მაგრამ ყოველი სასწავლო წლის დასასრულს დადებული შედეგებით, არამარტო მუნიციპალიტეტის, არამედ ქვეყნის მასშტაბითაც აღიარებულთა შორისაა. რაც იმაზე მიუთითებს, რომ აქ არ წყდება ის ჯაჭვი, რომელიც მუდმივად უნდა არსებობდეს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის.

ეზოდან დაწყებული შენობაში შესვლისთანავე განათლების სივრცესა და გარეგოში ხვდები, მაგრამ ვერაფრით წარმოიდგენ რომ სკოლაში მხოლოდ ორი მოსწავლე სწავლობს. არადა თემში ოთხი სოფელი შედის (ველევი, კვირიკეწმინდა, ბეთლევი, შხივანა).

დიახ, ორი მოსწავლე – ლიზი და ნიკოლოზ გოგსაძეები. დიახ, ოცდამეერთე საუკუნე – ატომისა და კოსმოსის ხანა, მაგრამ სკოლაში მხოლოდ ორი მოსწავლე, რომლებმაც სტუმრებს რესურსცენტრისა და კულტურის ცენტრის საბიბლოთეკო სამსახურის თანამშრომელებს, ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებს, ოლქის დეპუტატს, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს ყივჩაღიც შემოგვყარეს,ყივჩაღის პაემანზეც მიგვიწვიეს, ჩაგვახედეს ქართული ენისა და ტრადიციების, კულტურული მემკვიდრეობის სიღრმეში, შეგვახსენეს ხსოვნაში ჩარჩენილი ადამიანების სახელები... და დაგვარწმუნეს იმაშიც, რომ რჩებიან სოფლის წარსულსა და მომავალს შორის გადებულ იმ იმედის ხიდად, რომელზედაც გავლის მსურველები ხვალ თუ ზეგ უთუოდ გამოჩნდებიან, რადგან გზა, შუქი, წყალი და სხვა სიკეთეები სოფელთან გაბუტვის მიზეზს დღეს ნამდვილად აღარ წარმოადგენს..

ფაქტიურად ეს იყო ანგარიში ველევის თემის სოფლების წარსულსა და მომავალში. ამავდროულად პოზიტივის შემოტანის დღე სტუმრების ცხოვრებაში. მადლობა ამ დღისათვის სკოლის დირექტორს ეკა ჭიჭინაძეს, პედაგოგიურ კოლექტივს, ლიზის და ნიკოლოზს, მათ მშობლებს.

პოზიტივი იყო კულტურის ცენტრის დირექტორის თამაზ დაუშვილის ინიციატივაც იმის თაობაზე, რომ ლიზისა და ნიკოლოზს ექნებათ ადგილზე მუსიკალური განათლების მიღების საშუალება. და პედაგოგებსა და მშობლებთან ერთად მიწვეულ იყვნენ სპექტაკლის პრემიერაზე „ბუტიაობა“.

P.S მასპინძლებო, ასეა. ლამაზი სულის არცერთი მოძრაობა უპასუხოდ არ რჩება. პასუხმა უბრალოდ შეიძლება დაიგვიანოს.

დ. დეისაძე

ინფოტური

რაჭის ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ადმინისტრაციულ-გეოგრაფიული განვითარების შესაძლებლობებში ტურისტული ბიზნესი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ტურიზმის განვითარების უამრავი მიმართულებებიდან აღსანიშნავია სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიის შესაძლებლობების ე.ი. არსებული რესურსის შესწავლა-გაცნობა და მომხმარებელზე ინფორმაციის სწორად მიწოდება. რაც ხელეწიფებათ ტუროპერატორებს, რომლებიც უბრალოდ დამთვალიერებლები კი არ არიან, არამედ ტურიზმის სფეროში დინამიკურად მიმდინარე პროცესების უშუალო მონაწილენი.

სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ინფოტურის ფარგლებში, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროსა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ტუროპერატორების სტუმრობა. ამჯერად მათი ინტერესის ობიექტს წარმოადგენდა მუნიციპალიტეტში არსებული სასტუმროები.

სამი დღის განმავლობაში 30-მდე ტუროპერატორი ათვალიერებდა და ეცნობოდა სასტუმროებს, მათ ინფრასტრუქტურას და იმ სერვისებს, რასაც ბიზნესის ამ სფეროს წარმომადგენლები სთავაზობენ მომხმარებლებს.

მსგავსი ტურების ორგანიზება ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში არსებული სასტუმროების პოპულარიზაციას, რაც საბოლოო ჯამში მიმართულია ტურიზმის დარგის გაძლიერებისკენ.

პრემიერა

გაზაფხულის აფერადებული და ღონისძიებებით დატვირთული თვის ბოლო დღეც საინტერესო აღმოჩნდა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის. ამბროლაურის კულტურის ცენტრმა მაყურებელი სპექტაკლის პრემიერაზე მიიწვია და შესაფასებლად აკაკი წერეთლის ნაწარმოების მიხედვით დადგმული სპექტაკლი „ბუტიაობა“ შესთავაზა.

საინტერესო და დასამახსოვრებელი სახეები შექმნეს ივანე ცაგურიშვილმა, თამარ ობოლაშვილმა, ქეთი ფოფხაძემ, დათო დაუშვილმა, გვანცა ტურძილაძემ, მარიკა ბრეგაძემ, გიორგი ბერიშვილმა.. რაც უდაოდ რეჟისორ ინგა მესხორაძის დამსახურებაცაა.

მაყურებელს აპლოდისმენტები არ დაუშურებია. ე.ი. სპექტაკლის პრემიერა წარმატებით შედგა და კმაყოფილ მაყურებელს, განსაკუთრებულად მათ ვისაც საღამოს საათებში, სოფლებიდან უტრანსპორტობის მიზეზით, არ ჰქონდათ სპექტაკლებსა თუ სხვა კულტურის ცენტრის ღონისძიებებზე დასწრების საშუალება, გვინდა ვახაროთ, რომ პრობლემა მოგვარებულია.

მსურველთა რაოდენობის გათვალისწინებით (ჭრებალო, ნიკორწმინდა, ურავი) მათ მოემსახურებათ ავტობუსი, რომელიც კულტურის ცენტრს საჩუქრად გადასცა თბილისის მერმა ბატონმა **კახი კალაძემ**.

მადლობა მას კულტურის ცენტრის მრავალრიცხოვანი კოლექტივისა და მუნიციპალიტეტის მადლიერი მოსახლეობის სახელით.

მაისმა ესტაფეტა გადასცა ივნისს და გვჯერა, რომ სიახლეებითა და საინტერესო ღონისძიებებით კვლავაც გაგვანებივრებს.

ჭიდაობა

თავისუფალი ჭიდაობა ამბროლაურელ გულშემატკივრებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. ალბათ იმიტომ, რომ ყველაზე მეტი წარმატებული სპორტსმენი სპორტის ამ სახეობაში გვყავს. ჩვენებურებმა ტრადიციებს არც ამჯერად უღალატეს და რაჭის ღია პირველობაზე გამართულ ტურნირზე, რომელიც ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ქ. ამბროლაურში, მაღალი შედეგები აჩვენეს.

პირველი საპრიზო ადგილები დაიკავეს: **ნიკა კობახიძემ** (32კგ), **ლუკა ბეშიძემ** (57კგ), **ჯიმი კერვალიშვილმა** (75კგ).

II ადგილი – გიგა მელაშვილმა (44კგ), **ლუკა გოგოლაძემ** (48კგ), ***საბა ფოფხაძემ*** (62კგ).

III ადგილი – ოთარ ფურცელაძემ (35კგ), **საბა ბიბილაშვილმა** (41კგ) და **საბა დოხნაძემ** (85კგ).

აღსანიშნავია, რომ ტურნირში მონაწილეობას იღებდა ქვეყნის 12 ქალაქიდან 150-მდე მოჭიდავე.

ტურნირის პრიზიორები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლისა და ჭიდაობის კლუბ „ფალავანის“ წარმომადგენლებმა მედლებით, თასებით, სიგელებითა და სამახსოვრო საჩუქრებით დააჯილდოეს. მსგავსი სახის მასშტაბური ტურნირები მუნიციპალიტეტში ხშირად გაიმართება.

ჭადრაკი

ამბროლაურის სასპორტო სკოლაში ჩატარდა ამბროლაურის ჩემპიონატი 8, 10, 12 და უფროსი ასაკის მოსწავლეთა შორის, გაიცანით გამარჯვებულები:

8 წლამდე გოგონები: **1. ანასტასია გურაბანიძე, 2. მარიამ ჩიკვაიძე, 3. ანა სოხაძე.**

8 წლამდე ბიჭები: **1. მათე კერესელიძე, 2. ირაკლი ბედენაშვილი, 3. გაბრიელ შარაბიძე.**

10 წლამდე გოგოები: **1. მარიამ არჩვაძე, 2. ნუცა კერესელიძე, 3. ანასტასია ჭელიძე.**

10 წლამდე ბიჭები: **1. დემეტრე ჩალაძე, 2. ლუკა ზარქუა, 3. ანდრია დვალი.**

12 წლამდე გოგონები: **1. თეკლა ჩიტალაძე, 2. თეკლა გოგსაძე, 3. ლიზი ქამხაძე.**

9–12 წლამდე ბიჭები: **1. გურამ ჭოხონელიძე, 2. ალექსანდრე ჩალაძე, 3. დათო ჩიტალაძე.**

უფროსი ასაკის გოგონები: **1. კესო მეტონიძე, 2. ქეთა ზარქუა. 3. ქეთი ჭოხონელიძე.**

უფროსი ასაკის ბიჭები: **1. კესო მეტონიძე, 2. საბა ჯანელიძე, 3. ნიკა თომაძე.**

...თუ გვიყვარს, რატომ არ ვუფრთხილდებით?

არავინ უარყოფს იმას, რომ ჩვენი ქალაქის ინფრასტრუქტურისა და იერსახის გაუმჯობესების მიზნით, სერიოზული სამუშაოები ხორციელდება. საზოგადოების დიდი ნაწილი აღიარებს იმასაც რომ ახარებთ სხვებისაგან ამბროლაურის ლამაზ ქალაქად მოხსენიება, მაგრამ იმაზე აღარაფერს ამბობენ რომ გაკეთებულს მოვლა და გაფრთხილება სჭირდება.რატომღაც მეორეხარისხოვან საქმედ მიიჩნევენ და ხელს ყველაფერზე მერიისაკენ იშვერენ.

ვხედავთ იმასაც, რომ ქალაქში გამწვანების სამუშაოები მიმდინარეობს. ქალაქის შემოსასვლელს ნამდვილად მოუხდა ყვავილები, კარგია, რომ კულტურის სახლის მიმდებარედ არსებულ სკვერში ცაცხვის ახალი და ჯანსაღი ნერგებით დაავადებულ-მოჭრილი ნაძვები ჩანაცვლდა, მსგავსი ღონისძიებები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის, სხვადასხვა ტერიტორიაზე მომავალშიც გაგრძელდება, მაგრამ საწყენია, რომ მოქალაქეებს იმის შეხსენება სჭირდებათ, რომ ნერგებს მოვლა-პარტონობა უნდა. ბავშვებს სპორტულ მოედნებსა თუ სხვა დასასვენებელ სივრცეებში ხშირად უფროსებიც ახლავან. უმეტეს შემთხვევაში ისინი ან მობილურში არიან თავჩარგულნი ან გვერდით მსხდომელებთან საუბარით გართულნი და ავიწყდებათ რომ ტრენაჟორების, ნარგავების, სკამების დაზიანების საშუალება არ უნდა მისცენ მოზარდებს.

ძირითადად მაინც დამტვრევა-დაზიანების „ოსტატები“ ახალგაზრდები არიან, მაგრამ მაგალითის მიმცემნი სამწუხაროდ ხშირად უფროსებიც არიან.

დავით აღმაშენებლის ქუჩაზე „ლიბერთი ბანკის“ მიმდებარედ გაზონის ნახევარზე ბალახი საერთოდ აღარ ამოდის. არადა იქვეა გადასასვლელი. ანალოგიური სიტუაციაა კოსტავას ქუჩაზე „სუფთა სახლთან“ და საერთოდ, ამ ქუჩაზე ჩამწკრივებული სავაჭრო ობიექტების წინ მდებარე გაზონებში. ჭავჭავაძის ქუჩაზე საერთოდ ვერ გაარჩევ სადაა სანიაღვრე არხი. არადა, ძლიერი წვიმის შენთხვევაში არხში ამოსულმა ბალახმა თუ მცენარეებმა რომ არ გაატაროს წყალი მაშინვე ლანძღვა-გინებას დაიწყებენ სიტყვებით: პატრონი არ ყავს ქალაქს. ვის ველოდებით. საკუთარი სახლის წინ რომ გაწმინდონ არხი ამით ღირსება შეელახებათ?ამ ფოტოებზე ჩანს სანიაღვრე არხი?

თებერვალში მოსულმა თოვლმა ბევრი რამ დააზიანა, მაგრამ ამოკაფული ხეების ტოტები და სხვა ანარჩენები ბევრგან გაუტანელი დარჩა. ბრატისლავა რაჩის ქუჩაზე მაგალითად მოტეხილი ხის ტოტები (საქმე გაიიოლეს) პირდაპირ ხიდის ქვეშ გამავალ სანიაღვრე არხში ჩაყარეს. ხედავთ ფოტოზე. საეჭვოა მოდიდებულმა წყალმა აქ გასასვლელი იპოვოს. ნაგავსაყრელადაა ქცეული ყოფილი პოლიკლინიკის მიმდებარე ტერიტორია...

ამ მხრივ რთული სიტუაციაა ვაჟა ფშაველას ქუჩაზეც. სანიაღვრე არხი, მანქანების მომლოდინე მგზავრების მიერ გადაყრილი თუ აქ განლაგებული სავაჭრო ობიექტებიდან გამოტანილი ნაგავით, ფაქტიურად გადავსებულია სანიაღვრე არხები.



დღეს, დიდი და პატარა, ყველა ევროპა, ევროპას გაიძახის. ნუთუ არ შეიძლება ამ ევროპიდან გადმოვიღოთ დამკვიდრებული საყოველთაო ჩვევა – ყოველ შაბათ-კვირას კერძო სახლის მიმდებარე ქუჩის დასუფთავებ-გადარეცხვისა და ყვავილნარების გაშენებისა.

ლამაზდება ქალაქიო კარგია და ადვილი ამის თქმა, მაგრამ მის გაკეთილშობილებაში სადღაა თითოეულის პასუხისმგებლობა?

„ამბროლაურის მოამბის“ რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა გაზეთის ერთგული გულშემატკივარი, საბავშვო მწერალი

ბონდო მაცაბერიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ნატაშა, შვილი იგორი, დები თინა, იზო, მანანა, ძმა ვახტანგი. დისშვილები, ძმისშვილი, ბიძაშვილი, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ყოფილი რექტორი

დავით ვიქტორის ძე ჯოხაძე

შპს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი – ამბროლაურის საავადმყოფოს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საავადმყოფოს მთავარი ექთანი

ირინა დათეშიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რედაქტორი
დალი დარახველიძე

რედაქციის მისამართი:
ქ. ამბროლაური,
დავით აღმაშენებლის ქუჩა №24
ტელ: 593 60 40 67

„ამბროლაურის მოამბე“
რეგისტრირებულია ამბროლაურის სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის №15/5/ბ103

გაზეთი დაიბეჭდა
ბაჯური ყიფაძის მიერ
ქუთაისი, წერეთლის ქ. №186.
ტელ: 0431 23 45 54

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს, ავტორი პასუხისმგებელია მასალის, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, შინაარსსა და სტილზე.